# ახალ სასწავლო წელს — ბედნიერი სტარტი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 171 (6226)

31 აგვისტო, ხუთშაბათი. 1978 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ხვალ იწყება...

**შეუმჩნევლად** მიილია ზაფხული — პიონერული, სპორტული ზაფხული და პირველი სექტემბერიც მოვიდა. ჩვენი შვილების, ჩვენი ხვალინდელი დღის სექტემბერი. ...ვალ ახმაურდება სკოლების ეზოები და დერეფნები. გულლია ოვაციები, მოკითხვა, შთაბეჭდილებების ნაჩქარევი გაზიარება და, აჰა, ზარიც დაირეკა იწყება ახალი სასწავლო წელი!

ხვალ კვლავ ფართოდ გაუღებენ ...არს დასვენებულ, ენერგიამოზღვავებულ ახალგაზრდებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები. მზემოკიდებული, გალაღებული გოგო-ბიჭების ქალიშვილებისა და ჭაბუკების ჟრიამული გამოაცოცხლებს აქაურობას. დაიწყება ...ლი, ჭეშმარიტად მასობრივი ლაშქრობა ყველაზე რთული, მაგრამ ყველაზე საპატიო მწვერვალის — ...ლის, სულიერი და ფიზიკური სრულყოფის მწვერვალის დასაპყრობად.

დიახ, დღეს ქვეყანას ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები სჭირდება, ისეთები, რომლებსაც ჰარმონიულად ექნებათ შერწყმული მორალური სიმდიდრე, სულიერი სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა. ბევრი რამ უნდა მოასწროს მოზარდმა. ბევრ რამეს უნდა გასწვდეს. მშობლიური ლიტერატურა, ისტორია, მათემატიკა, ფიზიკა, ...ვერც ქიმიას, გეოგრაფიასა და ...ა საგნებს აუვლის გვერდს. მუსიკაც საჭიროა, უცხო ენაც... მაგრამ კიდევ ერთი რამ არის საჭირო და აუცილებელი, ურომლისოდაც მომავალი თაობა ჰარმონიულად განვითარებული ვერ იქნება. ...ა ფიზიკური სრულყოფა. სწორედ ამ საქმისთვისაა მოწოდებული ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემა. ამას უზრუნველყოფს მთელი ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა. ჯანმრთელი და გამოწრთობილი მომავალი თაობის აღზრდისთვის შენდება სტადიონები და სპორტული დარბაზები, საცურაო აუზები და სპორტული სასახლეები. ამ მიზანს ემსახურება ნაირგვარი ფიზკულტურული და სპორტული შეჯიბრებები.

ჩვენ არნახული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ვცხოვრობთ. დაუსრულებლად შეიძლება ამ პროცესის დადებით შედეგებზე საუბარი, მაგრამ ვერც ... აუვლი გვერდს, რომ სასწაულმოქმედი მანქანები და საყოფაცხოვრებო კომფორტი სერიოზულ დაემუქრა ჩვენი შვილების, ...ნი ნორჩების ჯანმრთელობას, ...ს ჯანმრთელობას. აი, სად უნდა გავიხადოთ ფიზკულტურა და სპორტი ერთგულ მოკავშირედ — ეს ერთადერთი გზაა მოძრაობის „შიმშილის“ დასაძლევად.

ამიტომ ვამბობთ, რომ ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანაა დასახული იმათ წინაშე, ვისაც მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის საქმე აბარია. პირველყოვლისა, ესაა ფიზკულტურის მასწავლებელი — სასკოლო ფიზკულტურულ-სპორტული ცხოვრების მთავარი ფიგურა. დღეს მთელს ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას უკვე დაეტყო გამოცოცხლების, გაჯანსაღების პროცესი. სასიკეთო ძვრებია ბავშვთა ფიზკულტურასა და სპორტშიც აქ კეთილი სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს განათლების სამინისტროს აქტიური მცდელობა, რომელიც ისევ და ისევ ფიზკულტურის გაკვეთილის ხარისხისა და როლის ამაღლებას, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის გამოცოცხლებას ისახავს მიზნად.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში. აქტივის კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად სერიოზული, მეტად პრინციპული საუბარი გაიმართა მოსწავლეთა და სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის თაობაზე.

„...ბავშვი შედის სკოლაში, — ითქვა აქტივის კრებაზე, — რომელსაც თვით სახელმწიფო ავალებს აქტიურ ზემოქმედებას ახდენდეს ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზე. სამწუხაროდ, არც აქა გვაქვს ყველაფერი მოგვარებული. თქმა არ უნდა, სკოლებში უეჭველად გვაქვს წარმატებები ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში, მაგრამ არც იმაზე უნდა დავხუჭოთ თვალი, რომ ჩვენი მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის ბევრი ნაკლის სათავე სწორედ სკოლიდან მოდის“.

დღეს ამოცანა ის არის, რომ ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სამსახურში ჩავაყენოთ ყველა რეზერვი, ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, ენერგიულად დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება, გავზარდოთ სპორტული ბაზების ქსელი. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ფიზიკური აღზრდის ყველა ფორმა და საშუალება, მთლ ფიზკულტურული კომპლექსის ამოუწურავი შესაძლებლობები. აუცილებელია ამაღლდეს ხელმძღვანელ მუშაკთა და თვით მოსწავლეთა პასუხისმგებლობა. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ არც ერთი მოზარდი არ დარჩეს ფიზკულტურისა და სპორტის გარეშე!



ს უ რ ა თ ზ ე: 1978 წლის სსრ კავშირის ჩემპიონატის ორი ოქროს მედლის მფლობელი მალხაზ თათარაძე.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო

ტანვარჯიში

# ოქროს მედლები დონეცკიდან

## მალხაზ თათარაძის შესანიშნავი გამარჯვება

**დონეცკიდან** სასიხარულო ცნობა მოვიდა: აქ გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატზე სპორტულ ტანვარჯიშში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტმა **მალხაზ თათარაძემ, რომელმაც ტაიჭზე და ბჯენით ხტომებში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება და ორი ოქროს მედალი მოიხვეჭა.**

მალხაზ თათარაძემ ამ ერთეულს ტანვარჯიშულ იარაღებზე უჩვენა შედეგები: ტაიჭზე — 18,7 ქულა და ბჯენით ხტომებში — 18,725.

დანარჩენ იარაღებზე ჩემპიონები გახდნენ: თავისუფალ ვარჯიშში — მინსკელი ვ. ლევენკოვი (18,525), ორძელზე — ვორონეჟელი ა. ტკაჩოვი (18,775), ძელზე — მოსკოველი გ. კრისინი (19,0). რგოლებზე ვარჯიშში მოიგო სსრ კავშირის 1978 წლის თასის მფლობელმა ლენინგრადელმა ა. დიტიატინმა (19,0).

ქალთა შორის აგრეთვე წარმატებით გამოვიდა ჩვენი ქვეყნის თასის მფლობელი მ. ფილატოვა (ლენინსკ-კუზნეცკი), რომელმაც ცალკეულ იარაღებზე გამართულ ასპარეზობაში ორი ოქროს მედალი მიიღო: თავისუფალ ვარჯიშში და ძელზე (19,875 და 19,625 ქულა). სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი მოსკოველი ე. მუხინა უძლიერესი იყო ორძელზე — 19,5. ბჯენით ხტომებში ოქროს მედალი წილად ხვდა კიეველ ს. ზახაროვას — 19,175.

ამ შეჯიბრებათა შედეგების მიხედვით შეირჩევიან კანდიდატები სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში, რომლებიც საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში იასპარეზებენ მსოფლიო ჩემპიონატში.

კალათბურთი

## თასი — სსრ კავშირის პირველ ნაკრებს

**ვილნიუსში** დამთავრდა ი. გაგარინის ხსოვნის თასის გათამაშება. გამარჯვებული სსრ კავშირის პირველი ნაკრებისა და აშშ-ს კალათბურთელთა გუნდის შეხვედრას უნდა დაესახელებინა. დაძაბული და საინტერესო ბრძოლა მოიგეს საბჭოთა სპორტსმენებმა — 104:99. გამარჯვებულთაგან ყველაზე შედეგიანი იყო საბჭოთა გუნდის კაპიტანი ს. ბელოვი — 31 ქულა, ამერიკელთაგან — ი. ბენკსი (18 ქულა).

III ადგილისთვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიელებმა დაამარცხეს სსრ კავშირის II ნაკრები — 114:79, ლიტვამ მოუგო მექსიკას — 113:87.

ამრიგად, ტურნირში გაიმარჯვეს და ი. გაგარინის თასი მოიპოვეს სსრ კავშირის პირველი ნაკრები გუნდის კალათბურთელებმა — 5 ქულა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: აშშ — 4, ჩეხოსლოვაკია — 3, სსრ კავშირი II — 2, ლიტვა — 1, მექსიკა — 0.

# თბილისელ ავტომოდელისტთა წარმატება

**კიშინიოვში** დამთავრდა მოზარდ ავტომოდელისტთა XV საკავშირო ჩემპიონატი, რომელშიც მოსკოვისა და ლენინგრადის, მოკავშირე რესპუბლიკების 16 გუნდი მონაწილეობდა. სულ შეჯიბრებაში ასპარეზობდა სხვადასხვა კლასის 7 მოდელი, ხოლო თითოეულ კლასში საპრიზო ადგილებისთვის იბრძოდა 17-19 ეკიპაჟი.

**წარმატებას მიაღწია თბილისის სპორტტექნიკურმა კლუბმა „ოქტომბერმა“.** მისმა წევრებმა, რომლებსაც ჩემპიონატისთვის ამზადებდნენ **თ. ლატარია** და **ზ. ზურაბიშვილი**, საბოლოოდ 1536 ქულა მოაგროვეს და **გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.** II ადგილზე გავიდა უკრაინის ნაკრები, III — რსფსრ-ს კოლექტივი.

პირად პირველობაში ჩემპიონი გახდა **დ. კობახიძე**, რომლის მიერ დამზადებულმა 1,5 კბ სმ მოცულობისძრავიანმა ასლმა საათში 98,901 კმ სისწრაფე განავითარა. მეორე ადგილები მოიპოვეს: ელექტროძრავიანი მოდელების შეჯიბრებაში გ. ანიაშვილის ნამუშევარმა და 2,5 კბ სმ-ის მოცულობის ძრავიანი ასლების ასპარეზობაში ე. რუხაძის „მანქანამ“. აღსანიშნავია, რომ სამივე პრიზიორი 154-ე სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეა.

**ს უ რ ა თ ზ ე: „ოქტომბრის“ გუნდი იუნიორთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონი.**



მძლეოსნობა

# კრალა ტაშს უკრავს

**ბუქარესტში** პრაღაში დაიწყო ...როპის მორიგი ჩემპიონატი მძლეოსნობაში. პირველი დღე ძირითადად საკვალიფიკაციო შეჯიბრებებს დაეთმო, აგრეთვე გამოვლინდა ერთი ჩემპიონი: ქალთა შორის ...00 მეტრზე რბენაში ანდიკანელა ს. ულმასოვამ ყველაზე უკეთესი შედეგი (8.33,2) აჩვენა და ოფიციალური მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა (ლ. ბრაგინასა და შვედ ხ. ვაიტცის აღრინდელი შედეგები ჯვრჯერობით ოფიციალურ რეკორდებად დამტკიცებული არ არის). ულმასოვა გახდა კონტინენტის ჩემპიონატის პირველი ოქროს მედლის მფლობელი.

ტურნირის სტარტზე კიდევ ერთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა. 11 დღით ადრე ვილნიუსელმა ვ. ბარდაუსკიენემ ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველმა გადალახა 7-მეტრიანი ზღვარი. იგი მაშინ 707 სანტიმეტრზე გადახტა. ახლა აქ საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში, მან თავისსავე მსოფლიო რეკორდს კიდევ 2 სმ მიუმატა — 709 სმ.

# ახალგაზრდობას — ჯანმრთელობისა და ფიზიკური წრთობის მკვიდრი საძირკველი!

„მოზარდი თაობის ფიზიკური აღზრდის საფუძველი უნდა იყოს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სკოლები“.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალებიდან.



## საშეფო საქმიანობის მადლი

**ზოგადსაგანმანათლებლო** სკოლების დირექციების, ფიზკულტურის მასწავლებლების, მთელი პედაგოგიური კოლექტივის წინაშე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ფართო პროგრამაა დასახული. ჩვენ ამ წერილში არ შევუდგებით საუბარს ნორჩი თაობის ფიზიკური წრთობის მნიშვნელობაზე, არც ფიზიკური აღზრდის ფორმებსა და მეთოდებზე ვილაპარაკებთ. ეს, ასე ვთქვათ, საქმის თეორიული ნაწილია და მასზე ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. **მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ იმაზე, თუ როგორ მოემზადნენ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შეფეურები ახალი სასწავლო წლისთვის, რა მუშაობა ჩაატარეს სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის და ვინ აღმოუჩინა მათ ამ საქმეში აქტიური პრაქტიკული დახმარება.**

ამას წინათ რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, საქართველოს პროფსაბჭოს, კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტსა და სპორტკომიტეტთან ერთად გამოაცხადა დათვალიერება-კონკურსი საუკეთესო სასკოლო სპორტული ბაზების მოწყობისთვის, რომლის საბოლოო შედეგები 1980 წლისთვის შეჯამდება. მანამდე კი განათლების სამინისტროს კოლეგია ყოველი სასწავლო წლის ბოლოს განიხილავს ამ მიმართულებით რესპუბლიკის სკოლებში ჩატარებული მუშაობის შედეგებს. დათვალიერება-კონკურსის ორგანიზატორებმა უკვე მიიღეს მრავალი ცნობა, ფოტომასალა და აქტი, რომლებიც მოწმობენ, რომ ბევრგან გულისყურით მოეკიდნენ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისთვის აუცილებელი სასწავლო პირობების შექმნის საკითხს და ამ საქმეში ჩააბეს მთელი პედაგოგიური კოლექტივი, ადგილობრივი ორგანიზაციები, შეფები.

დღეს სწორედ შეფებზე გესაუბრებით, იმათზე, ვინც მხარში ამოუდგა სკოლას.

**გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელას სახელმწიფო ბიოკომბინატის** (დირექტორი **ც. მენთეშაშვილი**) თანამშრომლებმა ადგილობრივ სკოლას ახალი სასწავლო შენობა აუშენეს და 8000 მანეთის სპორტული ინვენტარი უსაჩუქრეს. სკოლას აქვს კეთილმოწყობილი დარბაზი და ღია სპორტული კომპლექსი. **ზესტაფონის სპეციალიზებულმა სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ** (უფროსი **რ. ჩინჩალაძე**) რაიონის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას დამატებით მიუშენა ორი დარბაზი ჭიდაობასა და ფარიკაობისთვის, ხოლო **სოფელ ხაზანის** საშუალო სკოლაში მოაწყო მარტივი ტიპის სპორტული მოედნები და მძლეოსნური სექტორი. ქებას იმსახურებენ **მეორე ხვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის** (თავმჯდომარე **გ. ბრეგვაძე**) მუშაკები, რომლებმაც ადგილობრივ საშუალო სკოლას მშვენიერი საცურაო აუზი აუშენეს. **ქარელის მე-2, სოფელ კეხიჯვრის საშუალო და ქვემო ხვედურეთის რვაწლიან სკოლებში** სპორტული მოედნების აგებაში პედაგოგიურ კოლექტივს მხარში ამოუდგა ქარელის კოლმეურნეობა, კეხიჯვრის საბჭოთა მეურნეობა და აგარის ღვინის ქარხანა.

აღსანიშნავია **ფოთის მე-8** და **ხობის მე-2** საშუალო სკოლების მშრომელთა კომიტეტების თაოსნობა, რომლებმაც აღნიშნულ სკოლებში მოაწყვეს ღია სპორტული მოედნები, სარბენი ბილიკები და წინაღობათა ზოლი.

ახალი სასწავლო წლისთვის მშვენიერი სპორტული კომპლექსი ექნებათ **ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალის** საშუალო სკოლის მოსწავლეებს.

**ჩხოროწყუს რაიონის სოფელ გარაბის კოლმეურნეობის** (თავმჯდომარე **ჯ. ყალიჩავა**) დახმარებით სკოლაში მოეწყო სპორტული დარბაზი და მარტივი ტიპის ღია მოედნები. ამავე რაიონის **სოფელ ლესიჭინის** ჩაის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი **შ. ლემონჯავა**) ადგილობრივ საშუალო სკოლას კეთილმოუწყო სპორტული ბაზები. **ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლას** სპორტული მოედნების მოწყობა-განახლებაში დიდი დახმარება აღმოუჩინა ქალაქის **საავტომობილო ქარხანამ (დირექტორი ვ. ხარებავა)**, აგრეთვე, **სატრაქტორო ქარხანამ** (დირექტორი **ი. ქარცივაძე**), ხოლო მე-2 საშუალო სკოლას მხარში ამოუდგა **ლითოფონის ქარხანა** (დირექტორი **ა. იყროშიძე**) და **მაუდის ფაბრიკა** (დირექტორი **ჟ. ბეთანელი**).

მადლობის სიტყვებით უნდა მოვიხსენიოთ **ბათუმის მე-4 სამშენებლო ტრესტის, ქედის სატყეო მეურნეობის, წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანების საბჭოთა მეურნეობის, გორის რკინა-ბეტონის ქარხნის, კასპის სატყეო მეურნეობისა** და რესპუბლიკის სხვა წარმოება დაწესებულებების მუშაკები, რომლებმაც დიდი დახმარება აღმოუჩინეს სასწავლო დაწესებულებებს სპორტული ბაზებისა და ნაგებობების აშენება-მოწყობის საქმეში.

როგორც ხედავთ, საუკეთესო სპორტული ბაზების მოწყობისთვის გამოცხადებულმა რესპუბლიკურმა დათვალიერება-კონკურსმა სასიკეთო ნაყოფი გამოიღო. აღებული ტემპი მომავალშიც არ უნდა შენელდეს, საშეფო საქმიანობა კვლავ ახალი ძალით უნდა გაიშალოს.

**ზ. მერკვილაძე,**
საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდური კაბინეტის გამგე.

* * *

**სურათზე:** ასე გამოიყურება საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილის საშუალო სკოლის სპორტული კომპლექსი.

## მიზანი ნათელია

**პირველი** სექტემბერი ერთი იმ დღეთაგანია, რომელიც არაჩვეულებრივი ხმაურით შემოდის ჩვენს ცხოვრებაში. ერთბაშად ამდენი მზემოკიდებული, სახეგაბრწყინებული გოგო-ბიჭის ნახვაც მარტო ამ დღეს თუ შეიძლება...

...თბილისის 124-ე საშუალო სკოლის საკლასო ოთახებიც, ლაბორატორიებიც, კაბინეტებიც, სპორტული მოედნებიც ახმიანდება პირველ სექტემბერს. მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ ბევრმა სკოლადამთავრებულმა — მათ შორის ბ. ბალახაძემ, ჯ. მაისურაძემ, თ. გოლაშვილმა, მ. კოპალიანმა, ლ. ცომაიამ ფიზკულტურის ინსტიტუტში გააგრძელეს სწავლა. ზ. ახვლედიანი ქალაქის ახალგაზრდული ნაკრების წევრია წყალბურთში, ა. ჩიხლაძე და ა. ფანცულაია — ფეხბურთში, მოცურავე ხ. ცხვარაშვილი ოლიმპიური ნაკრების რეზერვშია. ე. მაჩაიძე ევროპული ტურნირის პრიზიორია კლასიკურ ჭიდაობაში. მაგრამ ეს როდია მთავარი, უმთავრესი ისაა, რომ ფიზკულტურა და სპორტი ამ სკოლაში ყველას მეგობარია.

კარგ საქმეში ხელმძღვანელთა ენთუზიაზმი, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია. სკოლის დირექტორი ეთერ ჯაფარიძე არასოდეს ყოფილა „წმინდა“ სპორტსმენი, მაგრამ გატაცებით უყვარს ბადმინტონი, ფრენბურთი და არა თუ მოსწავლეები, მასწავლებლებიც კი აიყოლია თავისი გატაცებით.

ფიზკულტურის მასწავლებლები ზაალ მიქაცაძე და ილია ოთხვანი ნიჩბებით ხელში ვნახეთ სკოლის ეზოში, სახტომი ორმო მოჰყავდათ წესრიგში. მათ ყოველ ნაბიჯში, მათ ყოველ სიტყვაში ვიგრძენით არჩეული პროფესიის სიყვარული.

სკოლას საკუთარი მძლეოსნური სექტორი აქვს, სარბენი ბილიკებით, სახტომი ორმოებით, საბურავებისაგან გაკეთებული წინაღობათა ზოლით, რომელიც გამოსადეგია, როგორც თორნებისთვის, ასევე შერეული ვარჯიშების შესასრულებლად. სკოლის პირობაზე შესანიშნავია კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები.

სამი სპორტული დარბაზი აქვს სკოლას. პირველი განკუთვნილია დაწყებითი კლასებისათვის, მეორეში, როგორც წესი, ფიზკულტურის გაკვეთილები ტარდება, მესამე — შეჯიბრებებისა და ტურნირებისთვისაა განკუთვნილი. ეს დარბაზი რადიოფიცირებულია და აქვს ანგარიშის მაჩვენებელი ტაბლოც.

ზაალ მიქაცაძე, როგორც ყოფილი მოჭიდავე, ქალაქის განათლების განყოფილების მიერ ამ სკოლაში გახსნილი თავისუფალ და კლასიკურ მოჭიდავეთა სექციას ხელმძღვანელობს. მძლეოსნობის სექციას ყოფილ ათჭიდელს ილია ოთხვანი აბარია.

— სიახლე ხომ არაფერია სკოლის სპორტულ ცხოვრებაში? — ვკითხე ზაალ მიქაცაძეს.

— მოსწავლეებს ალბათ ძალიან მოეწონებათ განახლებული სპორტული ბაზები, ახალი ტანვარჯიშის კედელი.

— რის გაკეთება გწადიათ მომავალში?

— შარშან 165 მოსწავლემ ჩააბარა მშდ-ს ნორმატივები. შევძელი კი 400-მდე ნიშნოსანი მოგვემზადებინა. საცურაო აუზის უქონლობამ გეგმა ჩაგვიფუშა. არადა ადგილიც გვაქვს და მონდომებაც გვეყოფა აუზის ასაშენებლად. ჩვენი მიზანი ერთია: სკოლის ყველა მოსწავლე ჩავაბათ აქტიურ საქმიანობაში ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობაში.

ემშვიდობები მათ და იმის გრძნობა მიგვყვება, რომ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა საიმედო და თავიანთ საქმეს შეყვარებული ადამიანების ხელშია.

**ლია ნიქლაური.**



## ჩემი მასწავლებელი

### ჩანახატი

**იქ ბევრი** რამ იყო უჩვეულო და თვალში საცემი, მაგრამ პირველ რიგში მკაცრად დაკანონებული წესრიგი გვაბნევდა. მზის შუქით განათებულ დარბაზში მდუმარედ იდგნენ იდუმალებით მოცული საგნები, ერთი სული გვქონდა ზედ გადავსხდომოდით ტყავგადაკრულ პრიალარგოლებიან „ცხენს“, ჭერიდან ჩამოშვებულ ბაგირზე ავცოცებულიყავით, ანდა კედელზე აკრულ კიბეს მოვქცეოდით თავში, მაგრამ რაღაც ძალა გვბორკავდა და გვაიძულებდა მშვიდად ვმსხდარიყავით გრძელ სკამზე. სკოლის დერეფანში, ეზოსა თუ საკლასო ოთახში რომ გვყვირა, გვრბინა და გვინდაც თავში წამოგვერტყა ვინმესთვის, ხაზვივით შეგრჩებოდა, აქ კი... სულგანაბულები ვუსმენდით სერგო მასწავლებელს, იმ უცნაური საგნების დანიშნულებას რომ გვიხსნიდა და ჩვენს აფორიაქებულ გონებაში, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა ის პირველი სიხარული ახალ წიგნებს, ჩანთას, მოსწავლის ფორმასა და პირველ გაკვეთილს რომ გამოეწვია, საკვირველი ზეიმით შემოდიოდნენ ჯადოსნური სიტყვები — „ტაიჭი“, „ორძელი“, „ღერძი“, „რგოლები“...

გადიოდა დრო და იქაურობას ნელ-ნელა ვეჩვეოდით. აღარ გვეუცხოებოდა სუფთა, ნათელი დარბაზი და ფიზკულტურის ყოველი გაკვეთილი თანდათან დღესასწაულად იქცა. მერე და მერე ჩვენი შესაძლებლობანიც გამოიკვეთა — სოსოს ყველაზე სწრაფად შეეძლო ბაგირზე აცოცება, ირაკლი ყველაზე მაღლა ხტებოდა, თამაზი ყველაზე შორს.

ერთ მშვენიერ დღეს კი სერგო მასწავლებელმა ოთხივენი ტანვარჯიშის სექციაში ჩაგვწერა. პირველი გაუბედავი ნაბიჯები, შიში, იმედი და პირველი შექება — „ვაუკაც!“ ამ სიტყვას მეცხრე ცაზე ავყავდით, მთელი კვირის განმავლობაში გვყოფნიდა სიხარულად, მაგრამ ქებას დამსახურება უნდოდა — ერთი მეცადინეობაც არ უნდა გაგვეცდინა, გულმოდგინედ უნდა შეგვესრულებინა სერგო მასწავლებლის ყოველი დარიგება, არადა...

— ეჰ, შე ჩანჩურავ, შენა!...

„ჩანჩურა“. სადღა უნდა გამოგეყო თავი!

მას შემდეგ კარგა ხანი გავიდა, ტკბილ მოგონებად იქცა მზის შუქითა და სიხარულით გაბრწყინებული დარბაზი, მაგრამ ხანდახან ახლაც გვესმის ჩვენი პირველი მწვრთნელის ის ჯადოსნური სიტყვები...

რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, მწვრთნელი, პერსონალური პენსიონერი **სერგო ზურაბოვი** ახლა 68 წლის კაცია. 14 წლისა იყო, როცა პირველად შედგა ფეხი ტანვარჯიშის დარბაზში, ვარჯიშობდა კოკა მეიფარიანის, ივანე ვახეკის, მერე კი გიორგი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. 22 წლისამ ამიერკავკასიის შეიარაღებული ძალების სპარტაკიადაზე 1 ადგილი დაიკავა, იმავე წელს კი საკავშირო შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა. კარგად თამაშობდა კალათბურთს, ფრენბურთს. ჭიდაობდა. ვარჯიშობდა მძლეოსნობაშიც. ამ სახეობებში იყო ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრი. მერე დაიწყო დიდი სამამულო ომი. სტალინგრადი, ხარკოვი, ტაგანროგი... ოთხჯერ დაიჭრა. ომის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფიზკულტურის ტექნიკუმში, მერე ინსტიტუტშიც.

34 წელია, რაც 31-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობს. ამ ხნის მანძილზე სერგო მასწავლებელმა ბევრი კარგი ტანმოვარჯიშე გაზარდა. საქართველოს 1952 წლის აბსოლუტური ჩემპიონი, ცალკეულ იარაღებზე საკავშირო ჩემპიონატის პრიზიორი ვახტანგ კულუმბეგაშვილი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს 1954 წლის ჩემპიონი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი როლანდ კობახიძე, რესპუბლიკის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის თენგიზ მათუკაშვილი; გივი ცქიტიშვილი, ალექსანდრე გიორგობიანი, შალვა მირიჯანაშვილი და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი... მისი ყოფილი მოწაფეები ნ. ცეცელაშვილი და ფ. მამულაშვილი ფიზკულტურის მასწავლებლად მუშაობენ თბილისში საშუალო სკოლებში.

31-ე საშუალო სკოლა სპორტული ტანვარჯიშის ძველისძველი ტრადიციებითაა ცნობილი. წელს ამ სკოლის პირველ-მეორე კლასელთა ნაკრები გუნდი ქალაქის ჩემპიონი გახდა.

ხვალ, უკვე მერამდენედ, თვალების ცეცებით შეაღებენ სპორტული დარბაზის კარებს პირველკლასელები. იქ ბევრი რამ იქნება უჩვეულო და თვალში საცემი, მაგრამ პირველ რიგში მკაცრად დაკანონებული წესრიგი დააბნევთ. სულგანაბულნი მოუსმენენ სერგო მასწავლებელს. დარბაზში ჩამორიგებული, იდუმალებით მოცული საგნების დანიშნულებას რომ აუხსნის და მათ აფორიაქებულ გონებაში, რომელთაც ჯერ კიდევ არ ექნებათ განელებული ის პირველი სიხარული, ახალ წიგნებს, ჩანთას, მოსწავლის ფორმასა და პირველ გაკვეთილს რომ გამოუწვევია, ზეიმით შევა ჯადოსნური სიტყვები — „ტაიჭი“, „ორძელი“, „ღერძი“, „რგოლები“...

**ნ. შატაიძე.**

* * *

**სურათზე:** ს. ზურაბოვი.

# ვ. გავას ოქროს მედალი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი გემთსამოდელო სპორტში

კიევში გაიმართა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატი გემთსამოდელო სპორტში. სარბიელზე გამოვიდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

წინა ამგვარ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრებმა VII ადგილი დაიკავა. ახლა კი ორი საფეხურით მაღლა აიწია — იგი მხოლოდ რსფსრ-ს, უკრაინის, სომხეთისა და უზბეკეთის კოლექტივებს ჩამორჩა.

თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, საზღვაო კლუბის ინსტრუქტორმა **ვ. გავამ**, რომელიც კონტინენტის რეკორდსმენია, სწრაფმავალი „ა-1“ კლასის მოდელებით შეჯიბრებაში **ოქროს მედალი მოიპოვა**. მისმა ნამუშევარმა საათში 157 კმ სისწრაფის განვითარება შეძლო და სხვა მხრივაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

მაგრამ ეს არ იყო გავას ბოლო წარმატება. სწრაფმავალი „ა-2“ კლასის მოდელების ასპარეზობაში მან კიდევ ერთი ნადავლი, ოღონდ ამჯერად „ბრინჯაო“ მოიგო.

მესამე საპრიზო ადგილი ხვდა წილად ი. ნუცუბიძის ნამუშევარს რადიომართვის „ფ-2“ მოდელს, მანვე IV და V ადგილები დაიკავა, რადიომართვის „ფ-3-ა“ და „ფ-3“ კლასის მოდელების შეჯიბრებაში.

გუნდს ორი IV ადგილი მოუტანა გ. მამაცაშვილმა, რომლის რადიომართვის მოდელებმა (1 კგ-მდე და 1 კგ-ს ზევით) გამოცდა წარმატებით ჩააბარეს.

თბილისელი მოსწავლის ე. აკოფოვის საჰაერო ხრახნიანი „ვ-1“ მოდელმა 215 კილომეტრის სისწრაფე განავითარა, მართალია, სპორტსმენმა V ადგილი დაიკავა, მაგრამ კონსტრუქტორს სპორტის ოსტატობა მოუტანა. V ადგილზე გავიდა თბილისელი ვ. იმჩენკოს 2,5 კბ სმ-ს მოცულობის ძრავიანი „ფ-1“ მოდელი.

სამოდელო სპორტი შედის სპორტის ტექნიკური სახეობების სპარტაკიადაში, რომელიც გაისად გაიმართება. სპორტის ტექნიკური სახეობები კი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში გარკვეულ ქულებს იძლევა.

**ჯ. ქვარცხავა.**

## ცურვა

**ჩვენი** გაზეთის მკითხველებს გავაცნობთ სპორტის საწყლოსნო სახეობებში მსოფლიოს მესამე ჩემპიონატის ბოლო სტარტების ტექნიკურ შედეგებს:

ქალთა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა მოიგო 15 წლის ავსტრალიელმა სპორტსმენმა ტ. უიკხემმა — 8.24,94. II და III არიან ამერიკელები ვუდჰედი (8.29,35) და ლაინეჰენი (8.32,60). საბჭოთა მოცურავე, 15 წლის ი. აქსიონოვა სსრ კავშირის ახალი რეკორდით (8.43,56) მეექვსე იყო.

ვაჟთა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უძლიერესთა კვარცხლბეკის პირველი ორი საფეხური ამერიკელებმა დაიკავეს. ჩემპიონი გახდა მაკეგი — 50,24. ვერცხლის მედალი ერგო მონტგომერის — 50,73, „ბრინჯაო“ — შტეინბახს (გფრ) — 50,79.

ვაჟთა კომბინირებულ ესტაფეტაში 4X100 მეტრზე გაიმარჯვა ამერიკელმა კვარტეტმა (ჯეკსონი, ნევიდი, ბოტომი, მაკეგი) — 3.44,63. მეორე ადგილზე გამოვიდა გფრ — 3.48,58; მესამეზე [illegible] — 3.49, [illegible]. საბჭოთა მოცურავეები (ა. სიდოროვი, ა. მისკაროვი, ე. სერედინი, ა. კრილოვი) VII ადგილს დასჯერდნენ (3.51,18).

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატის მედლები 16 ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს: აშშ — 44 (23 ოქრო, 14 ვერცხლი, 7 ბრინჯაო), სსრ კავშირი — 16 (6; 4; 6), გდრ — 15 (1; 10; 4), კანადა — 9 (3; 1; 5), გფრ — 7( 1; 2; 4), იაპონია — 3 (0; 2; 1), უნგრეთი 3 (0; 1; 2), ავსტრალია — 2 (2; 0; 0), იტალია — 2 (1; 0; 1), იუგოსლავია — 2 (0; 1; 1). ინგლისისა და შვეციის სპორტსმენებმა — 2-2 ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს, ნორვეგიისა და ახალი ზელანდიის — თითო ვერცხლის, ხოლო ბრაზილიისა და დანიის — თითო ბრინჯაოს მედალი.

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა
### მეორე ლიგა
### „დილა“ (გორი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:2

29 აგვისტოს გორში გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი ადგილობრივ „დილასა“ და ზუგდიდის „დინამოს“ შორის.

თამაში დაიწყო სწრაფად, მაღალ ტემპში და მალე ინიციატივას დაეუფლნენ დინამოელები, რომლებიც უტევდნენ ფართო ფრონტით, გრძელი გადაცემებით. ერთ-ერთი შეტევისას „დილის“ მეკარემ ცხოვრებოვმა და მცველებმა შეუთანხმებლად იმოქმედეს, რამაც საშუალება მისცა თუთბერიძეს გაეხსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ, 57-ე წუთზე კარგად ითამაშა გორელმა ომიაძემ და დინამოელთა კარში საპასუხო ბურთი გავიდა — 1:1.

განსაკუთრებით დაიძაბა ბრძოლა მას შემდეგ, რაც ზუგდიდელმა გუნიამ კვლავ წინ გაიყვანა თავისი გუნდი — 2:1. ამ მძიმე ვითარებაში „დილის“ მოთამაშეებმა გამოავლინეს მტკიცე ნებისყოფა, გამარჯვებისადმი სწრაფვა და ქერდიკაშვილმა 79-ე წუთზე მეორედ აღადგინა თანაფარდობა, ხოლო უკვე მაშინ, როცა მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთი, ხაჩატურიანმა გადამწყვეტი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

**ი. თევდორაშვილი.**

**(ტელეფონით ჩვენი კორ.).**

### სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „გურია“ (ლანჩხუთი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 5:0, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (სოხუმი) 0:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 5:1, ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 0:0, „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) — „ხაზარი“ (ლენქორანი) 3:1, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 2:0, „გასტელო“ (უფა) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 3:1, „გაზოვიკი“ (უფა) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 3:1, „ზვეზდა“ (პერმი) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0, „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 2:0, „დინამო“ (კიროვი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 4:1.

### უმაღლესი ლიგა
### გათამაშების ცხრილი
### სათადარიგო შემადგენლობანი

**მდგომარეობა 31 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 12 | 9 | 1 | 34—17 | 33 |
| „დინამო“ თბ. | 22 | 14 | 4 | 4 | 33—11 | 32 |
| „დინამო“ მ. | 21 | 10 | 7 | 4 | 28—14 | 27 |
| „ნეფთჩი“ | 20 | 10 | 6 | 4 | 26—21 | 26 |
| „დინამო“ კ. | 22 | 10 | 4 | 8 | 25—23 | 24 |
| „არარატი“ | 21 | 7 | 10 | 4 | 29—18 | 24 |
| „შახტიორი“ | 21 | 9 | 5 | 7 | 24—18 | 23 |
| „ჩერნომორ“. | 21 | 9 | 5 | 7 | 21—23 | 23 |
| „პახტაქორი“ | 22 | 7 | 6 | 9 | 24—27 | 20 |
| „ტორპედო“ | 22 | 8 | 3 | 11 | 30—28 | 19 |
| „სპარტაკი“ | 22 | 7 | 5 | 10 | 27—23 | 19 |
| „ლოკომოტ“. | 21 | 6 | 5 | 10 | 19—31 | 17 |
| „ქაირათი“ | 21 | 5 | 6 | 10 | 21—28 | 16 |
| „ზარია“ | 20 | 4 | 5 | 11 | 19—42 | 13 |
| „ზენიტი“ | 19 | 4 | 5 | 10 | 17—33 | 13 |
| „დნეპრი“ | 21 | 0 | 9 | 12 | 12—29 | 9 |

### რესპუბლიკის პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

#### I ჯგუფი

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 3:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).**

ანგარიში გახსნა ტყიბულელმა ისაკაძემ, შემდეგ კი ძაგნიძემ ორჯერ აიღო სტუმრების კარი. „ჩიხურამ“ მხოლოდ ის შეძლო, რომ „მშრალი“ ანგარიშით დამარცხებას დააღწია თავი (აუშტროვი).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „ნადიკვარი“ (თელავი) 3:2. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).**

კაციტაძემ და ოსაძემ ტაიმის დამთავრებამდე 2 ბურთი გაიტანეს „ნადიკვარის“ კარში, მაგრამ მეორე ნახევარში, მე-60 წუთისთვის, ორივე გოლი გაქვითული იქნა (მაისურაძე, სეროფიანი). მატჩის ბედი გადაწყვიტა ჭიათურელი ჯანგავაძის ზუსტმა დარტყმამ.

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1:8. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).**

ამ მატჩში დაწინაურდნენ სპარტაკელები (ფუხაშვილი), მაგრამ ფოთელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრის მეორე ნახევარი, გვალიამ გაათანაბრა ანგარიში, ღურწკაიამ და გარნოვსკიმ კი გამარჯვება მოუტანეს „კოლხეთს“.

**„იბერია“ (ქარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:5. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).**

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 1:2. მსაჯი თ. ჩინჩალაძე (მაიაკოვსკი).**

ტაიმს შედეგი არ მოუცია. შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელთ აიღეს ზესტაფონელებმა, რომელთა თავდამსხმელმა გლინიანოვმა ზედიზედ 2 ბურთი მოათავსა სტუდენტთა კარში. ერთადერთი საპასუხო გოლის გატანა გვარამაძემ შეძლო 78-ე წუთზე.

**„ივერია“ (ხაშური) — „დურუჯი“ (ყვარელი) 2:1. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).**

ხაშურელთაგან ბურთები გაიტანეს კურტანიძემ და ლომიძემ, ხოლო „დურუჯის“ მხრივ — ტალახაძემ.

#### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 30 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ ფ. | 31 | 21 | 7 | 3 | 72—25 | 49 |
| „მეტალურ“. რ. | 28 | 19 | 5 | 4 | 47—19 | 43 |
| „მეშახტე“ | 26 | 17 | 5 | 4 | 42—19 | 39 |
| „მზიური“ | 27 | 16 | 5 | 6 | 44—25 | 37 |
| „მაღაროელი“ | 26 | 14 | 5 | 7 | 46—33 | 33 |
| „ენერგეტ“. | 30 | 13 | 7 | 10 | 40—35 | 33 |
| „მერცხალი“ | 24 | 11 | 10 | 3 | 37—19 | 32 |
| „კოლხეთი“ ხ. | 29 | 10 | 10 | 9 | 30—28 | 30 |
| „ჩიხურა“ | 29 | 10 | 8 | 11 | 39—33 | 28 |
| „ნადიკვარი“ | 30 | 9 | 10 | 11 | 37—40 | 28 |
| „ივერია“ ხ. | 31 | 10 | 8 | 13 | 24—36 | 28 |
| ასკ თბ. | 26 | 9 | 9 | 8 | 30—26 | 27 |
| პოლ. ინსტ. | 30 | 12 | 3 | 15 | 49—49 | 27 |
| „ამირანი“ | 29 | 10 | 7 | 12 | 26—38 | 27 |
| „სპარტ“. თბ. | 29 | 10 | 6 | 13 | 35—40 | 26 |
| ფიზ ინსტ. | 31 | 11 | 4 | 16 | 39—61 | 26 |
| „სპარტ“. ცხ. | 29 | 8 | 7 | 14 | 39—42 | 23 |
| „მეტალ“. ზ. | 28 | 7 | 9 | 12 | 36—40 | 23 |
| „სქური“ | 26 | 8 | 5 | 13 | 38—36 | 21 |
| „სალხინო“ | 24 | 6 | 8 | 10 | 28—44 | 20 |
| „დურუჯი“ | 28 | 9 | 2 | 17 | 23—41 | 20 |
| „ვერისი“ | 29 | 4 | 9 | 16 | 21—43 | 17 |
| „იბერია“ ქ. | 30 | 4 | 5 | 21 | 23—73 | 13 |

#### II ჯგუფი
#### I ზონა

„აბული“ (ახალქალაქი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:1, „არაგვი“ (მცხეთა) — „იორი“ (თიანეთი) 5:1, „განახლება“ (ადიგენი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 3:2, „ხიონი“ (ბოლნისი) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 6:1, „ფიჩხოვანი“ (ალვანის საბჭოთა მეურნეობა) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 4:2, „ვარძია“ (ასპინძა) — „განთიადი“ (თბილისი) 3:2, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:4. წალკის „თრიალეთს“ გამარჯვება ჩაეთვალა სიღნაღის „ცისკართან“.

#### II ზონა

„ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 3:0, „გიგანტი“ (ლაითური) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 1:1, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „მეშაქრე“ (აგარა) 3:0, „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 0:1, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:3, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „სულორი“ (ვანი) 1:1.

### ზონალური პირველობა

**I ზონა.** „ბაზალტი“ (ბოლნისი) — „არგოხი“ (ახმეტა) 3:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „შირაქი“ (წითელი წყარო) 2:1, „არგოხი“ — „შირაქი“ 3:2, „ბაზალტი“ — „ალგეთი“ 2:1, „ალგეთი“ — „არგოხი“ 3:0, „შირაქი“ — „ბაზალტი“ 5:1, „შირაქი“ — „ალგეთი“ 2:1.

**II ზონა.** „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) — „სანერგე“ (ახალსოფელი) 2:2, „არაგვი“ (დუშეთი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:2, „სანერგე“ — „მადნეული“ 3:1, „ფარვანა“ — „არაგვი“ 5:0, „არაგვი“ — „სანერგე“ 3:2, „მადნეული“ — „ფარვანა“ 3:0, „მადნეული“ — „არაგვი“ 2:1.

**III ზონა.** „ლესიჭინე“ (ჩხოროწყუ) — „დიდი ჭყონი“ (გეგეჭკორი) 2:0, „მეხალიჩე“ (ცხაკაია) — „სუბტროპიკი“ (წალენჯიხა) 1:0, „დიდი ჭყონი“ — „მეხალიჩე“ 6:3, „მეხალიჩე“ — „ეთერზეთი“ (აბაშა) 3:2, „სუბტროპიკი“ — „დიდი ჭყონი“ 4:4, „ეთერზეთი“ — „სუბტროპიკი“ 2:4, „ლესიჭინე“ — „მეხალიჩე“ 2:1, „ეთერზეთს“ დამარცხება ჩაეთვალა „ლესიჭინესთან“.

**IV ზონა.** „მშენებელი“ (ჭიათურა) — „კოლმეურნე“ (ზესტაფონი) 6:1, „ღრმა ღელე“ (ლანჩხუთი) — „ელემენტი“ (ზესტაფონი) 1:0, „კოლმეურნე“ — „ელემენტი“ 1:6, „მშენებელი“ — „ღრმა ღელე“ 5:2, „ღრმა ღელე“ — „კოლმეურნე“ 1:1, „ელემენტი“ — „მშენებელი“ 1:0, „კოლმეურნე“ — „მშენებელი“ 2:4, „ელემენტი“ — „ღრმა ღელე“ 1:2.

**განვლილ მატჩებში კვლავ ჰქონდა ადგილი წესრიგის დარღვევას. მიმდინარე სეზონში მესამე გაფრთხილება მიიღო ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის მოთამაშემ რ. გუჩუამ, ხოლო მეორე გაფრთხილება — ახალციხის „მესხეთის“ წევრმა დ. აბაშიძემ.**

**გაფრთხილებული არიან ა. კემულარია („მექალალდე“, ზუგდიდი), ს. ქორიძე („კოლხეთი“, ფოთი), მ. თხელიძე (ტაქსომოტორი № 8, თბილისი), თ. ბოლაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).**

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**



### პოლონეთი

მიმდინარე ჩემპიონატის სტარტის დიდი მოულოდნელობაა მილეცის „სტალის“ უფერული თამაში. V ტურში „სტალმა“ კვლავ წააგო, ამჯერად კრაკოვში „ვისლასთან“ — 0:3 და ახლა მხოლოდ მე-12 ადგილზეა.

5 ტურის შემდეგ ლიდერობს ლოძის „ვიძევი“ — 9 ქულა. II ადგილზეა ვარშავის „ლეგია“ — 7 ქულა.

### გფრ

ქვეყნის ჩემპიონმა „კიოლნმა“ პირველ ტურში სტუმრად დამარცხების შემდეგ მიიღო ბუნდესლიგის დებიუტანტი „დარმშტადტ 98“ და ძლივს მიაღწია გამარჯვებას — 2:1. ორივე ბურთი ცენტრალურმა მცველმა კულმანმა გაიტანა.

„კაიზერსლაუტერნმა“ კვლავ მოიგო და ისევ დიდი ანგარიშით — 3:0, თუმცა სტუმრად თამაშობდა დასავლეთ ბერლინის „ჰერტასთან“. ახლა იგი 4 ქულით ლიდერია.

ტურის დანარჩენი შედეგებია: „შტუტგარტი“ — „ნიურნბერგი“ 4:0, „ბოხუმი“ — „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) 2:2, „ვერდერი“ (ბრემენი) — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 1:1, „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი) — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 2:2, „ბაიერნი“ (მიუნხენი) — „დუისბურგი“ 6:2, „არმინია“ (ბილეფელდი) —„ შალკე 04“ (გელზენკირხენი) 3:2, „აინტრაჰტი“ (მაინის ფრანკფურტი) — „აინტრაჰტი“ (ბრაუნშვაიგი) 3:1.

### ჩეხოსლოვაკია

2 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზეა პრაღის „დუკლა“. მას თითო ქულით ჩამორჩებიან ბრატისლავის „სლოვანი“, ვსს (კოშიცე), რომელიც ეს-ეს არის გადმოვიდა პირველ ლიგაში, პრეშოვის „ტატრანი“ და „დუკლა“ (ბანსკა-ბისტრიცა).

### ბულგარეთი

2 ტურის შემდეგ 3-3 ქულა აქვთ სოფიის „აკადემიკს“, „ჰასკოვოს“ (პირველი ლიგის დებიუტანტი), პლოვდივის „თრაკიას“ (კიდევ ერთი დებიუტანტი), სოფიის ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამეს“ და „სლავიას“ (სოფია).

### იუგოსლავია

II ტურის შედეგები ასეთია: ოფკ (ბელგრადი) — „ბუდუჩნოსტი“ (ტიტოგრადი) 1:1, „ნაპრედაკი“ (კრუშევაცი) — „ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი) 0:1, „ოლიმპია“ (ლიუბლიანა) — „პარტიზანი“ (ბელგრადი) 2:4, „ჰაიდუკი“ (სპლიტი) — „სლობოდა“ (ტუზლა) 1:1, „ჟელეზნიჩარი“ (სარაევო) — „ფკ ზაგრები“ 2:1, „დინამო“ (ზაგრები) — „სარაევო“ 2:1, „რადნიჩკი“ (ნიში) — „რიეკა“ 1:1, „ბორაცი“ (ბანია-ლუკა) — „ვოივოდინა“ (ნოვი სადი) 2:0, „ოსიეკი“ — „ველეჟი“ (მოსტარი) 2:0.

2 ტურის შემდეგ 4 ქულით პირველ ადგილზეა „ცრვენა ზვეზდა“.

### ინგლისი

პირველ ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა ნოტინჰემში ჩემპიონს — „ნოტინჰემ ფორესტსა“ და პირველ ლიგაში დაბრუნებულ „ტოტენჰემ ჰოტსპურს“ (ლონდონი) შორის. 42 ათასმა მაყურებელმა ლონდონელთა რიგებში იხილა ორი ცნობილი არგენტინელი ოსტატი — არდილესი და ვილა. დასაწყისში უპირატესობა ჩემპიონის მხარეზე იყო და ონეილმა გახსნა კიდეც ანგარიში, მაგრამ ვილამ შეძლო საპასუხო გოლის გატანა. ფრე — 1:1.

ჩემპიონატის „უსწრაფესი გოლი“ თამაშის დაწყებიდან მე-20 წამზე გაიტანა ბრაუნმა („ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“) „იფსვიჩ თაუნის“ კარში. გაიმარჯვა „ვესტ ბრომვიჩ ალბიონმა“ — 2:1.

აი, დანარჩენი შედეგები: „არსენალი“ (ლონდონი) — „ლიდს იუნაიტედი“ 2:2, „ასტონ ვილა“ (ბირმინგამი) — „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“ 1:0, „ბოლტონ უონდერერსი“ — „ბრისტოლ სიტი“ 1:2, „ჩელსი“ (ლონდონი) — „ევერტონი“ (ლივერპული) 0:1, „დერბი ქაუნთი“ — „მანჩესტერ სიტი“ 1:1, „ლივერპული“ — „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ (ლონდონი) 2:1, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — „ბირმინგამ სიტი“ 1:0, „მიდლსბრო“ — „კოვენტრი სიტი“ 1:2, „ნორვიჩ სიტი“ — „საუთჰემპტონი“ 3:1.

### საფრანგეთი

VI ტურის ცენტრალური შეხვედრა „მეცას“ და „რესინგს“ (სტრასბურგი) შორის სტრასბურგში დამთავრდა „რესინგის“ დამაჯერებელი გამარჯვებით — 3:0.

ახლა „რესინგი“ 6 თამაშიდან 10 ქულით ლიდერი გახდა. 9 ქულით მეორე ადგილზე გადაინაცვლა „ჟირონდამ“ (ბორდო), რომელმაც სტუმრად მოუგო „ვალენსიენს“ — 1:0.

### ავსტრია

I ტურის შედეგები ასეთია: „ვიენა“ (ვენა) — „სვაროვსკი-ვაკერი“ (ინსბრუკი) 1:1, „რაპიდი“ (ვენა) — „აუსტრია“ (ვენა) 3:1, „გრაცერ ატლეტიკკლუბი“ — „აუსტრია“ (ზალცბურგი) 1:2, „ვოესტი“ (ლინცი) — „შტურმი“ (გრაცი) 1:0, „ადმირა-ვაკერი“ (ვენა) — „ვინეს შპორტკლუბი“ 3:2.

# ტაშკენტის სტარტებამდე



მოსწავლე სპორტსმენთა ნაკრები კოლექტივები ამ დღეებში ბოლო „რეპეტიციებს“ გადიან — სულ მალე ტაშკენტში აფრიალდება მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადის ალამი. კალათბურთელთა ტურნირი აქ 20 სექტემბერს აიღებს სტარტს.

მანამდე კი ჩვენი რესპუბლიკის მოსწავლე გოგონათა და ვაჟთა გუნდებმა ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად თბილისში მოიწვიეს აზერბაიჯანელი თანატოლები. ჭაბუკი კალათბურთელები უკვე სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ორი მატჩი მოიგეს ქართველმა სპორტსმენებმა ანგარიშით 67:59 და 74:53, მესამე შეხვედრაში კი აღინიშნა ფრე — 84:84 (გუნდები დამატებითი დროის გარეშე თამაშობდნენ).

* * *

სურათებზე საქართველოსა და აზერბაიჯანის კალათბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების შეხვედრების მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



# ტრადიციის გაგრძელება

ამას წინათ ბრაშოვსა და პლოეშტში (რუმინეთი) დამთავრდა გოგონათა და ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირები, რომლებშიც საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ. ამ შეჯიბრებების შესახებ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს სპორტკომიტეტის უფროსი მწვრთნელი ჭადრაკში რ. თავარიანი.

* * *

ბუქარესტიდან სტუმარ-მასპინძელი მოჭადრაკეები ერთად გავემგზავრეთ ბრაშოვში, სადაც გოგონათა ტრადიციული, III საერთაშორისო ტურნირი უნდა გამართულიყო. მგზავრებს შორის იყვნენ ქართველი მოჭადრაკეებიც, ოსტატი ზ. სტურუა და ოსტატობის კანდიდატი ნინო მელაშვილი. ახალგაზრდა ოსტატი მიწვეული იყო 20 წლამდე ჭაბუკთა I საერთაშორისო ტურნირში, მოჭადრაკე გოგონა კი თანატოლთა შეჯიბრებაში.

სტურუამ პლოეშტში დაგვტოვა, სინაიაში — ბულგარელმა დიდოსტატმა ტ. ლემაჩკომ და რუმინეთის ჩემპიონმა საერთაშორისო ოსტატმა ე. პოლიქრონიადემ, რომლებიც ქალთა საერთაშორისო ტურნირში უნდა ჩაბმულიყვნენ. მოჭადრაკეთა უმრავლესობა ბრაშოვში მიემგზავრებოდა.

რუმინეთის ჭადრაკის მესვეურებს კარგად ახსოვთ საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის სტუმრობა 1961 წლის მაის-ივნისში, როდესაც მათ ბუქარესტსა და პლოეშტში ამხანაგური მატჩები ჩაატარეს. ბრაშოველები კი კმაყოფილებით გვიამბობდნენ, როგორ გაიმარჯვა მ. ჩიბურდანიძემ 1974 წელს მათ ქალაქში გამართულ ქალთა საერთაშორისო ტურნირში. მაშინ I ადგილი დაიკავა სამი ქულის უპირატესობით და დაუმარცხებლად.

ბრაშოვის გოგონათა საერთაშორისო ტურნირი უკვე ტრადიციული გახდა. პირველ ორ ტურნირში საქართველოს წარგზავნილი მ. წერეთელი მონაწილეობდა. 1976 წლის ტურნირში მზია II ადგილზე გამოვიდა, 1977 წელს კი პირველი იყო.

ამჯერად აქ სასპარეზოდ ჩვენი ნინო მელაშვილის გარდა კიდევ 10 გოგონა ჩავიდა პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან და იუგოსლავიიდან.

თბილისელმა მოჭადრაკემ მეტოქეებს სტარტიდანვე ენერგიული ტემპი შესთავაზა: მან ზედიზედ 8 პარტია მოიგო და მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა. ამიტომ დასკვნით ორ ტურში ყაიმებს დასჯერდა. მეხუთე ტურამდე ნინოს კონკურენციას მხოლოდ რუმინელი მ. პოგორევიჩი უწევდა, რომელმაც ზედიზედ მხოლოდ ოთხ მეტოქეს სძლია. მეხუთე ტურში უნგრელ მ. კოვაჩს დაუზავდა, მეცხრეში კი მელაშვილთან დამარცხდა.

ამრიგად, ნინო მელაშვილმა 9 ქულით 10-დან I ადგილი დაიკავა [illegible] ქულით. მეორე [illegible] ადგილზე გავიდა [illegible] — 7.

ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირში დიდი ბრძოლა გადაიტანა სტურუამ. მას მეტოქეობას უწევდნენ ჩეხოსლოვაკიელი და ბულგარელი ოსტატები, 8 ოსტატობის კანდიდატი და ერთი პირველთანრიგოსანი. განსაკუთრებით კარგად თამაშობდნენ მასპინძლები. I ადგილი დაიკავა ა. ნეგულისკუმ — 8,5 ქულა. სტურუა 7,5 ქულით II ადგილზე გავიდა.

ტურნირები საუცხოოდ იყო ორგანიზებული. საინტერესო შეხვედრებთან ერთად (მე რუმინელი საჭადრაკო კომპოზიტორებიც გავიცანი) მოგვიწყვეს ექსკურსიები. მაგალითად, მაღალმთიან აგარაკ პოლიანა-ბრაშოვში, სადაც ხშირად იმართება ასპარეზობანი სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ შორის — ჭადრაკშიც.

რუმინეთის საჭადრაკო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ა. ვრაბიემ გვითხრა, რომ რუმინელი მოჭადრაკეები დიდი გულისყურით სწავლობენ საბჭოთა საჭადრაკო სკოლის მიღწევებს, დიდოსტატთა შემოქმედებას; ახლა განსაკუთრებით აინტერესებთ ქართველი მოჭადრაკე ქალების შემოქმედება და ჩვენი საჭადრაკო მუშაობის ორგანიზაცია.

## ჭადრაკი

**გუშინ** ბიჭვინთაში მსოფლიო პირველობაზე ნ. გაფრინდაშვილ — მ. ჩიბურდანიძის მატჩში გაიმართა V პარტია. თეთრებით პრეტენდენტი თამაშობდა. პარტია გადაიდო 41-ე სვლაზე. ჩიბურდანიძეს ხარისხი და ზედმეტი პაიკი აქვს.

**მეხიკოს** ა. კასოს სახელობის თეატრში მიმდინარეობს მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის.

შესარჩევი შეხვედრების შემდეგ ჩემპიონის სახელისთვის ფინალში იბრძვიან სსრ კავშირის, კუბის, ინგლისის, აშშ-ის, მექსიკის (პირველი გუნდი), კოლუმბიის, ავსტრალიის, ბრაზილიის, კანადისა და შოტლანდიის გუნდები.

სამი ტურის შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა და ინგლისელი მოჭადრაკეები — 8,5-8,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

## ფრენბურთი

### ლენინგრადსა და ვოლგოგრადში

**სსრ კავშირის** ოთხ ქალაქში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა გუნდების მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები.

მინსკში ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა. ვოლგოგრადიდან ნახევარფინალში გავიდნენ კუბის, პერუს, იაპონიისა და აშშ-ს გუნდები. ლენინგრადში ორივე შეხვედრა იოლად მოიგეს საბჭოთა ფრენბურთელებმა. მათთან ერთად ნახევარფინალის საგზური მოიპოვეს ბულგარელებმა, ბრაზილიელებმა და სამხრეთ კორეის სპორტსმენებმა. რიგაში ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და პოლონეთის გუნდებმა.

ახლა ნახევარფინალური ტურნირები შედგება ლენინგრადსა და ვოლგოგრადში. ლენინგრადში გამოვლენ სსრ კავშირის, ბრაზილიის, სამხრეთ კორეის, პოლონეთის, ბულგარეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდები, ვოლგოგრადში — პერუს, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, იაპონიის, კუბისა და აშშ-ს კოლექტივები.

საბჭოთა ფრენბურთელები გუშინ გვიან ღამით შეხვდნენ ბრაზილიელებს, დღეს ხვდებიან სამხრეთ კორეის გუნდს. საბჭოთა გუნდის დანარჩენი შეხვედრების კალენდარი ასეთია: 1 სექტემბერი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, 2 სექტემბერი — პოლონეთი.

ნახევარფინალურ ტურნირებში პირველ ორ ადგილზე გასული გუნდები გააგრძელებენ მსოფლიო ჩემპიონატის მედლებისთვის ბრძოლას.

# გადარჩენილი რეკორდი

## სროლა

ვიტყობინებოდით, რომ სვერდლოვსკში გაიმართა მესტენდეურეთა საკავშირო ჩემპიონატი. ვაჟთა შორის მრგვალ სტენდზე შეჯიბრება მოიგეს „ლოკომოტივის“ სპორტსმენებმა. კვარტეტმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ტ. ქლენტი, თ. იმნაიშვილი, ა. ჩერკასოვი და ს. კორჟანოვი 600-დან 586 ქულა მოაგროვა.

ეს სსრ კავშირის რეკორდის გამეორებაა. მაგრამ მისი გაუმჯობესებაც შეიძლებოდა. ამისთვის ტ. ქლენტს, რომელიც თანაგუნდელებიდან ბოლო ისროდა, უკანასკნელ სერიაში 25-დან მხოლოდ ერთი სამიზნისთვის უნდა დაეშორებინა. ქლენტმა 23 სამიზნე გატეხა.

პირად პირველობაში პირველი ტურის შემდეგ (მეორე ტური ოქტომბერში, ფრუნზეში გაიმართება) დაწინაურდნენ სპარტაკელები ა. კონსტანტინოვი და ბ. შებაშოვი, აგრეთვე, რკინიგზელი ჩერკასოვი. თვითეულს 196 ქულა დაუგროვდა.

ადგილიდან სროლაში წინ ჰრას მინსკელი გ. გალკინი. მან 200 შესაძლებლიდან 199 ქულა მოაგროვა და საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა. ეს შედეგი მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა, აგრეთვე, ქალთა შორის მრგვალ სტენდზე სროლაში უძლიერესმა როსტოველმა ა. გურვიჩმა. მისი შედეგი 191 ქულა, ერთი ქულით აღემატება რეკორდის სარეგისტრაციო ნორმატივს.

ადგილიდან სროლაში პირველი ტურის მერე ლიდერობს რკინიგზელი ბ. ხლებნიკოვა — 188.

# ფეხბურთის ტურნირი პეკინურად

**პეკინი,** 29 აგვისტო. ჩინეთი მიისწრაფვის, რადაც უნდა დაუჯდეს განმტკიცდეს მსოფლიო სარბიელზე, როგორც პოლიტიკაში, ასევე სპორტშიც. მაგრამ მორიგი სპორტული აქცია — აქ ორგანიზებული ეგრეთ წოდებული საერთაშორისო მეგობრული საფეხბურთო ტურნირი აღინიშნა აშკარად პოლიტიკური ხასიათის სკანდალით. როგორც დიპლომატიურ წრეში გახდა ცნობილი, კონგოს ფეხბურთელთა გუნდის წარმომადგენელმა გომა რაულმა ტურნირის ორგანიზატორებს ოფიციალური პროტესტი განუცხადა აფრიკის სპორტსმენთა მიმართ დისკრიმინაციული აქტის გამო. მაშინ, როცა ტურნირის ყველა სხვა მონაწილეს — ჰოლანდიის, იუგოსლავიის, ჰონკონგის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საკლუბო გუნდებსა და პეკინის გუნდს ვარჯიშისა და თამაშის უფლება მიენიჭათ, პეკინის ცენტრში მდებარე სპეციალურად მომზადებულ სტადიონზე აფრიკელ სპორტსმენებს ფეხბურთის სათამაშოდ გამოუყვეს ჩინეთის დედაქალაქის განაპირას მდებარე კეთილმოუწყობელი სტადიონი. კონგოს წარმომადგენელმა გადაწყვეტით განაცხადა, რომ მსგავს, აშკარად დისკრიმინაციულ პირობებში მისი გუნდი დატოვებს ტურნირს, თუ მასპინძლები არ შეცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას აფრიკელ სპორტსმენთა მიმართ.

რასობრივი დისკრიმინაციის ბრალდების თავიდან მოსახსნელად, ტურნირის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ სასწრაფოდ შეეთხზათ ვერსია და კონგოს სპორტსმენებისთვის პეკინის ცენტრალურ სპორტულ სარბიელზე თამაშის ნება დაერთოთ, ოღონდაც მატჩები მათი მონაწილეობით გაცხარებულ სამუშაო დროს ემთხვევა. ასე, რომ აფრიკის ფეხბურთელების თამაშის დროს ტრიბუნები თითქმის ცარიელი იქნება (საკდესი).

## ჩოგბურთი

### წაგებაც, მოგებაც

**პოლონეთის** ქალაქ კატოვიცეში დამთავრდა ქვეყნის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ქალთა ერთეულების ფინალში პოლონელ დ. ვეჩორეკს შეხვდა მოსკოველი ე. გრანატუროვა. გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა — 2:6, 6:1, 6:3. ვაჟთა ფინალში ითამაშეს გდრ-ის უძლიერესმა ჩოგბურთელმა ტ. ემრიხმა და მოსკოველმა ვ. ბორისოვმა. გაიმარჯვა გერმანელმა სპორტსმენმა — 4:6, 6:7, 6:4, 7:5, 6:2.

# „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 34-ე ტირაჟებისა, რომლებიც 26 აგვისტოს მოსკოვში მოეწყო.

„სპორტლოტოს“ 6—49-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ექვსი (შეღავათიანი ბურთულით) ციფრის გამოცნობისთვის მოგება 3795 მანეთია, ხუთისთვის — 2795, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 78, ოთხისთვის — 53, სამისთვის — 3.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 2710 მანეთია, ხუთისთვის (შეღავათიანი ბურთულით) — 79, ოთხისთვის — 54, სამისთვის — 3.

„სპორტლოტოს“ 5—36-დან მოგებები ასეთია:

**პირველი:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 10000 მანეთია, ოთხისთვის — 211, სამისთვის — 7.

**მეორე:** ხუთი ციფრის გამოცნობისთვის მოგება 8557 მანეთია, ოთხისთვის — 104, სამისთვის — 5.

„სპორტლოტოს“ 34-ე ტირაჟების მოგებათა განაღდება იწარმოებს 6 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით.

## ველოსპორტი

### გაიმარჯვა... ფოსტალიონმა

**დასავლეთ** გერმანიაში დამთავრდა ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. უკანასკნელი სახეობა გახლდათ გზატკეცილზე ვაჟთა ჯგუფური რბოლა.

182,5 კილომეტრიან ტრასაზე ყველაზე სწრაფი აღმოჩნდა 22 წლის შვეიცარიელი ჟ. გლაუსი — 4:41.42. ვერცხლის მედალი ერგო პოლონელ ა. სუიკს, ბრინჯაოსი — შ. მუტერს (შვეიცარია). საბჭოთა სპორტსმენთა შორის საუკეთესო გახლდათ მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებული ა. ავერინი, რომელმაც მეცხრე ადგილი დაიკავა.

ქალთა შორის 70,5 კილომეტრზე ჯგუფურ რბოლაში გამარჯვებისთვის 59 სპორტსმენი იბრძოდა. ფინიშთან 17 წლის ბ. ხაბეტცი (გფრ) დაწინაურდა. იგი ბრაუვაილერში ფოსტალიონად მუშაობს და ამანათები მუდამ ველოსიპედით დააქვს, ამიტომაც მისთვის ეს სახეობა ახალი ხილი არ გახლავთ. ხაბეტცმა დისტანციის გავლას 1 საათი, 45 წუთი და 2 წამი მოანდომა და ოქროს მედალი მოიპოვა. გ. ცარიოვა (სსრ კავშირი) მეორე ადგილს დასჯერდა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკვისა რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-60-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26, სამხატვრო — 93-97-59; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02133